

[Pick the date]

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი



**EWU
NI**

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის
შემუშავების წესი**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროებისა და მისი შედგენის ზოგად წესს.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ცნება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე, სტატუსადგენილი, მსჯავრდებული სტუდენტებისთვის, მაგისტრატურისა და სტუდენტებისთვის მათი კვლევითი კომპონენტის საჭიროებებიდან გამომდინარე და სხვ.

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა/რეკვიზიტები

- სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.
2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა თან ახლავს წინამდებარე წესს.

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა/ადმინისტრირება

1. სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სტუდენტი განცხადებით მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ: სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელმა ლექტორმა/ლექტორებმა, სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა.
3. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სასწავლო პროცესის მართვის ბაზაში (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.